ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 44261211
თარიღი:01/05/2026

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-36 მუხლების, 126[1] მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ II1 თავის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს ღია კონკურსი პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – 2 (ორი) ერთეული;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საპროექტო ზედამხედველობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – 1 (ერთი) ერთეული;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი საქმიანობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – 1 (ერთი) ერთეული.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს შიდა კონკურსი პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საბიუჯეტო დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი (მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საჯარო მოხელე) – 1 (ერთი) ერთეული.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად განესაზღვროს 5 /ხუთი/ კალენდარული დღე.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონულად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

6. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, გიორგი ცხაკაიამ.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი